

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები

2017-2018 სასწავლო წელი

იმედა ჩინჩალაძე -ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციონალური სისტემის
სრულყოფის პრობლემები კლინიკა „მ-მედი 22“-ში

ხელმძღვანელი: ციალა ლომაია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ანოტაცია: ბიზნესის მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია ადამიანური რესურსის სტიმულირებაზე. სტიმულირების პროცესი მიმართულია კლინიკის მიზნების მისაღწევად. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის პროცესში აუცილებელი ხდება სტიმულირების ახალი მიდგომების შესწავლა და გამოყენება. სტიმულირების მართვა განიხილება, როგორც ადამიანური რესურსების მეთოდის ნაწილი; იგი უზრუნველყოფს მიზნების სტრატეგიის შესწავლას, ინტეგრირებულია ადამიანური რესურსების მართვის სხვა სტრატეგიებთან; ეფუძნება რწმენისა და ვარაუდების სისტემას; აღიარებს, რომ ადამიანური რესურსების მართვას ეხება ადამიანურ კაპიტალში დაბანდება; მხარს უჭერს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ინიციატივებს, კლინიკის რესურსებით მომარაგების განვითარებისა და დაქირავებულთა წახალისების სფეროში.

ნაშრომში შესწავლილია სტიმულირების პროცედურა, ორგანიზაციაში ინოვაციების მართვის ფორმირების მიმართულებით. “მ-მედი 22“ კლინიკის, ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრისა და სტაციონარის მაგალითზე ჩატარებულია კვლევა სტიმულირების ფაქტორების, პაციენტთა კმაყოფილების და კონკურენტების მიღწევების შესაფასებლად. საინტერესოაა გადმოცემული ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო სერვისისადმი ხელმისაწვდომობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და მუშაობის მოტივაციის პრობლემები.